

ირაკლი ჩარკვიანი

გია მირზაშვილთან გავიცანი. “გარეგნ(ულ)ობაზე ორიენტირებული, გამომწვევად გემოვნებიანი ოციოდე წლის ბიჭების წრე, სრული ანტიპოდი ჩემი სამეგობროსი” - ასე ჩანდა ჩემს მაშინდელ წარმოდგენაში ჩემი ტოლი ქართველი ახალგაზრდების ერთი ნაწილი, შედარებით გვიან, 10 წლით გვიან შემოსული ჩემს უკვე მეორე სტუდენტურ ცხოვრებაში და მაშინ ვერც კი ვიფიქრებდი, რა სიახლოვე გაჩნდებოდა ჩვენს შორის.

მეჩვენებოდა, რომ სახე არ უცინოდა ხოლმე, რაც უნდა სასაცილო რამ ეთქვა ან მოესმინა; რომც გაელიმა, გადაეხარხარა კიდევ თავისი ყრუ ხმით, თვალები თითქოს მაინც რჩებოდა სერიოზული და დაფიქრებული, მერე რალაცნაირი საყვედურიც ჩაუდგა მზერაში, ადეკვატური მისი გვიანდელი სამყაროსი, რომელიც, რაც უნდა გროტესკული და დამცინავი ყოფილიყო ხანდახან, მაინც ყოველთვის ამ საყვედურნარევი სევდით ზემოქმედებდა მსმენელზე - მანერულად ბანალური სიტყვების, “პოპისტური” ჭრელი თანხლების და ბოხი, დაგუდული, არავოკალური ხმის ნაზავით, რომელსაც დახვეწილი სმენა და და გემოვნება ასე ორგანულად აერთებდა “ჩარკვიანის მუსიკად”.

მუსიკა იყო ის პირველი შეხება, რამაც დაგვაახლოვა: რამდენიმე ინსტრუმენტზე უკრავდა, ცეკვავდა, მღეროდა და “ამერიკულობდა” ისე, რომ მეეჭვებოდა, სულ სხვა მუსიკით და სამყაროთი გატაცებულს, ოდესმე რამე გამომჩინოდა საერთო ამ ლამაზ, ნიჭიერ და ქარიზმატულ ტიპთან, თაყვანისმცემელი გოგოების და მიმბაძველი ბიჭების ჯგროში ვერც რომ მიუახლოვდებოდბდი, გეგონა.

ბენდში რომ დამიძახა სარეპეტიციოდ, უკვე თავის სიმღერებს წერდა და უკრავდა, ოღონდ გვიანდელთან არათფერი ჰქონდა საერთო და სტილისტურად უფრო რომელიმე მაშინდელი ბენდის cover ეგონებოდა კაცს - ეკლექტური და ზერელე, და მაინც, მისი დახვეწილი სმენის და კარგი ინგლისურის წყალობით, ყველაზე ავთენტური და ნაღდად მიმბაძველი იმისა, რაც დასავლურ და ამერიკულ ნატვრად უჟღერდა ყურში და გულში ქართველი ახალგაზრდობის უმეტესობას.

ქედმაღლობის ნიღაბი, რომლის შთაბეჭდილებას მიქმნიდა მისი განონასწორებული ემოციური სიგრილე, დამცინავი ქილიკი ქართულ აქტუალობებზე და მიუკარებლობა გოიმურად კატეგორიზებული სენტიმენტებისა, რამდენჯერმე მაინც მინახავს “ჩამოხსნილი”: ერთხელ - თვითმფრინავის გატაცების ამბავი რომ მოედო თბილისს, უცებ დავინახე,

როგორი გაფითრებული, გაშეშებული და დაბნეული სახე ჰქონია თურმე თავზარდაცემულს; მეორედ - მისი მოთხრობები რომ გამოვიდა: გავოგნდი შინაგან სამყაროზე და მგრძნობიარობაზე, რომელიც ვერ დამენახა აქამდე; ერთიორჯერაც - სიმღერის დროს, ვიდეოკლიპზე გამომკრთალა უცნაური ტექსტით, კოსტიუმით და რეჟისურით თანხლებულ სახის გამომეტყველებაში. მიამაყია მისი მეგობრობით, როცა მამაჩემის აღტაცება მომისმენია მასთან შეხვედრის და საუბრის შემდეგ; გამხარებია მისი მოკითხვა და “რეაქტიული კლუბის” აქტივობები კოტე ყუბანეიშვილთან ერთად (მაშინ უკვე გერმანიაში ვცხოვრობდი და იქ მომდიოდა ეს ამონაბეჭდებიც და მოკითხვაც), ერთიორ თოქშოუში მოვესმინე მის, როგორც ყოველთვის, კონტროვერსულ და საკამათო აზრებს, მუსიკაზე და კულტურის პოლიტიკაზე გამოთქმულს - ეს იყო და ეს, მეგობრობას, როგორც ჩანს, ბევრი არ სჭირდება, ერთიორმა ერთად დაკვრამ, ერთმანეთზე კანტიკუნტად ფიქრმა და ერთიორმა feedback-მაც შეიძლება იკმაროს.

ამსტერდამში ვიყავი, როცა პირდაპირ ტელევიზორიდან დამცა თავზარი მისი სიკვდილის ამბავმა - რალაცნაირად “მისებურმა”, მისნაირი ნატურისთვის სიმპტომატურმა, და მაინც წარმოუდგენელმა ასე ადრე და მოულოდნელად. მისი სიმღერებიც ასეთი მგონია: “მისებური”, “გამომწვევად მანერული”, მისი ბუნების ზედმიწევნით გადმომცემი და - მოულოდნელი, კიდევ ერთხელ ჩამოხსნილი ნილაბივით.

რეზო კიკნაძე,
თებერვალი 2014